

# საქართველო - აზერბაიჯანი ერთობლივი საოპერაციო პროგრამა

დამტკიცებულია ერთობლივი გადაწყვეტილებების მიმღები კომიტეტის მიერ  
2014 წლის 31 ოქტომბერს



## სარჩევი

1.	შემაჯამებელი მიმოხილვა/შესავალი.....	3
2.	სასაზღვრო რაიონების სტრატეგიული ანალიზი .....	4
2.1	შესაბამისი რაიონები.....	4
2.2	თანამედროვე აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობის ანალიზი .....	4
2.3	სასაზღვრო რაიონების ანალიზი.....	5
2.4	სუსტი და ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობათა საფრთხეების (SWOT) ანალიზი.....	8
3.	ტერიტორიული თანამშრომლობის (TC) პროგრამის სტრატეგია.....	9
4.	ძირითადი პრიორიტეტები და ქმედებები .....	10
4.1	სამოქმედო მიზანი 1 - ადგილობრივ თემთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.....	10
4.2	სამოქმედო მიზანი 2 - საერთო გამოწვევების დამუშავება.....	11
4.3	სამოქმედო მიზანი 3 - კულტურა, განათლება და სპორტი .....	12
5.	შედეგთა ინდიკატორები.....	13
6.	პროგრამის მენეჯმენტი.....	14
6.1	ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი.....	14
6.2	მმართველი ორგანო.....	15
7.	პროგრამის განხორციელება .....	15
7.1	პროექტების შესაბამისობა .....	15
7.2	პროექტის ბენეფიციარების შესაბამისობა .....	16
7.3	კონტრაქტირებისა და განხორციელების პროცედურები .....	17
7.4	დანახარჯების შესაბამისობა და მხარდაჭერის ხარისხი .....	19
8.	ფინანსების განაწილება.....	19

## დანართი

დანართი1:	შესაბამისი ტერიტორიის რუკა.....	21
დანართი2:	სტატისტიკური ინფორმაცია რაიონების მიხედვით.....	22
დანართი3:	პროგრამის მონიტორინგის ინდიკატორები.....	23
დანართი4:	პროგრამის მენეჯმენტი.....	26
დანართი5:	დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგები .....	27

# 1. შემაჯამებელი მიმოხილვა/შესავალი

განმახორციელებელი კომისიის 2013 წლის 22 ნოემბერის გადაწყვეტილებასთან C(2013)8293 დართული აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის საპროექტო წინადადების თანახმად, აზერბაიჯანულ-ქართული ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა (შემდგომში TC პროგრამა) აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის ხელშეწყობის პროგრამის რჩევით ერთობლივად მომზადდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკისა და ინდუსტრიის სამინისტროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით.

ორივე მონაწილე მხარის, როგორც საქართველოს, ასევე აზერბაიჯანის თემების მიერ TC პროგრამის ფლობის გაფართოვების უზრუნველსაყოფად, აზერბაიჯანელმა და ქართველმა პარტნიორებმა ერთობლივი სამოქმედო პროგრამის შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბეს. სამუშაო ჯგუფი შემდეგი დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან შედგება:

აზერბაიჯანი: ეკონომიკისა და ინდუსტრიის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო საბაჟოს კომიტეტი, სახელმწიფო საზღვრის სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფოს დახმარების საბჭო აზერბაიჯანის პრეზიდენტის ეგიდით

საქართველო: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სახელმწიფო კანცელარია, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა, კახეთის და ქვემო ქართლის გუბერნატორების ოფისები

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა 2013 წლის 20 დეკემბერს, საქართველოში, ნაფარულში (თელავი) შედგა. შემდგომი კონსულტაციები კი აზერბაიჯანულ-ქართულ ტერიტორიული თანამშრომლობის რეგიონალურ კონფერენციაზე 2013 წლის 19 დეკემბერს ნაფარულში (საქართველო) და 2014 წლის 4 ივლისს თბილისში, (საქართველო) EaPTC გახსნით კონფერენციაზე გაიმართა. მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა 2014 წლის 12 სექტემბერს ბაქოში (აზერბაიჯანი) შედგა.

ერთობლივ საოპერაციო პროგრამაზე საჯარო კონსულტაციები 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიმართა. დანართი 5 მოიცავს როგორც შენიშვნების დეტალებსა და საჯარო მოსმენების შედეგად მიღებულ რეკომენდაციებს, ასევე იმასაც, თუ როგორ იყვნენ ისინი განხილული ერთობლივი ოპერაციული პროგრამის ფინალურ ვერსიაში. ერთობლივი ოპერაციული პროგრამის ფინალური ვერსია ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღებ კომისიაზე განიხილეს და მიიღეს...

მიმდინარე დოკუმენტი აზერბაიჯან-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მდებარე რეგიონების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების აღწერას მოიცავს. სუსტი და ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობათა საფრთხეების (SWOT) ანალიზის ცხრილში (განყოფილება 2), აღწერს ტერიტორიული თანამშრომლობის სტრატეგიასა და სამოქმედო მიზნებს (განყოფილება 3), ავლენს

პრიორიტეტებსა და მიზანშეწონილ ქმედებებს (განყოფილება 4), განსაზღვრავს პროექტისათვის შესაფერის ბენეფიციარებსა და პროგრამის განხორციელების წესებს. (სექციები 5-7).

ერთობლივი საოპერაციო პროგრამა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მდებარე საზღვრის ტერიტორიული თანამშრომლობის სპეციფიკურ ასპექტებს ეხება, ამ მხრივ გათვალისწინებულია არსებული კონტექსტი რომელიც მოიცავს აზერბაიჯანული და ქართული მხარის მიერ როგორც ეროვნულ ასევე რეგიონალურ პოლიტიკაში განხორციელებულ ქმედებებს.

## 2. სასაზღვრო რაიონების სტრატეგიული ანალიზი

### 2.1 შესაბამისი რაიონები

აზერბაიჯან-საქართველოს TC პროგრამის შესაბამისი ფართობი მოიცავს აზერბაიჯან-საქართველოს 480 კილომეტრის სიგრძის საზღვრის გასწვრივ მდებარე შემდეგ რაიონებს/ადამინისტრაციულ ერთეულებს:

აზერბაიჯანი (ეკონომიკური ზონები)	საქართველო (მხარეები)
<ul style="list-style-type: none"> <li>• განჯა-ყაზახის ეკონომიკური ზონა</li> <li>• შექი-ზაქათალას ეკონომიკური ზონა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კახეთი</li> <li>• ქვემო ქართლი</li> </ul>

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა 39,270 კმ<sup>2</sup> ფართობს მოიცავს; საიდანაც 21,440 კმ<sup>2</sup> აზერბაიჯანში, 17,840 კმ<sup>2</sup> კი საქართველოში მდებარეობს. 2012 წლის მონაცემებით, აღნიშნულ ფართობზე მაცხოვრებელი მოსახლეობა 2,705,300 შეადგენდა; სადანაც 1,786,900 აზერბაიჯანში, 918,000 კი საქართველოში ცხოვრობდა.

მხარე	ფართობი (km <sup>2</sup> )	ქვეყნის სრული ფართობის % (დაახლ..)	მოსახლეობა (2012, ათასი მცხოვრებელი)	ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა (დაახლ..)	სიმჭიდროვე (მოსახლეობა/km <sup>2</sup> )
<b>აზერბაიჯანი</b>					
განჯა-ყაზახი	12.48	14.4	1,205.2	12.8	97
შექი-ზაქათალა	8.96	10.3	581.7	6.2	65
<b>საქართველო</b>					
კახეთი	11.31	17.5	407.1	9.0	36
ქვემო ქართლი	6.53	9.4	511.3	11.3	78

### 2.2 თანამედროვე აზერბაიჯანულ-ქართული ურთიერთობის ანალიზი

დიპლომატიური ურთიერთობა აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის 1992 წლიდან იღებს სათავეს. მუდმივი ორმხრივი და მრავალმხრივი პოლიტიკური დიალოგის შედეგად ქვეყნებს შორის ურთიერთობა სტრატეგიულ პარტნიორობაში გადაიზარდა. ორი სახელმწიფოს ურთიერთობის განმსაზღვრელი იურიდიული ჩარჩო 40-ზე მეტი იურიდიული აქტისა და დოკუმენტისაგან შედგება (ხელშეკრულებები, შეთანხმებები, პროტოკოლები და ა.შ.). მათ შორის ყველაზე ძირეული და ფუნდამენტური არის აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის 1996 წელს მიღწეული „შეთანხმება მეგობრობაზე, თანამშრომლობასა და უსაფრთხოებაზე“, რომელსაც თავის მხრივ სხვადასხვა დარგში დადებული მრავალი შეთანხმება მოჰყვა.

ქვეყნებს შორის წარმატებული თანამშრომლობა სხვა საქმიანობის სფეროებთან ერთად მოიცავს ვაჭრობასა და ინვესტიციებს, ენერჯეტიკას, ტრანსპორტს, საბანკო და ფინანსურ სექტორებს, სოფლის მეურნეობას, სპორტს, განათლებას და კულტურას. აზერბაიჯანი და საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობენ ვაჭრობის სფეროში. აზერბაიჯანი მეორე ადგილზეა საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის, მასზე საქართველოს მთლიანი საგარეო ვაჭრობის 10 პროცენტი მოდის; ამასთან საქართველო აზერბაიჯანის

რესპუბლიკის უმსხვილეს 12 სავაჭრო პარტნიორთა სიაშია. მეტიც, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობით აზერბაიჯანი მისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საინვესტიციო პარტნიორად მოიაზრება.

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობა სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ისეთი პროექტები როგორც „ბაქო-სუფსა“ და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი“-ს ნავთობსადენები, „ბაქო-თბილისი-ერზრუმ“-ის გაზსადენი და აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორი მიზნად კასპიის აუზის ენერგორესურსებით ევროპის ბაზრის მომარაგებას ისახავენ, ხოლო „ბაქო-თბილისი-ყარსი“-ს სარკინიგზო პროექტი აზერბაიჯანისა და საქართველოს სარკინიგზო სისტემებს ევროპულ რკინიგზის ქსელთან დააკავშირებს, რასაც უდიდესი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს შავი და კასპიის ზღვის რეგიონისათვის.

აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის საზღვრის სიგრძე 480 კმ-ია, საიდანაც მეოთხედზე მეტი მდინარე ალაზანი/განიჩისა და იორი/ქაბირის, ასევე ჯანდარის ტბას მიუყვება. სახმელეთო ტრანსპორტის მოძრაობა ორ ქვეყანას შორის ხუთი სასაზღვრო გამშვები და საბაჟო პუნქტის გავლით არის შესაძლებელი: ოთხი სახმელეთო (აქედან უმნიშვნელოვანესებია ლაგოდეხი-ბელაქანისა და წითელი ხიდის პუნქტები) და ერთი სარკინიგზო სასაზღვრო პუნქტით (გარდაბანი-სადიხლი).

### 2.3 სასაზღვრო რაიონების ანალიზი

ოთხივე მოსაზღვრე რეგიონს მსგავსი გეოგრაფიული პირობები აქვს, ისევე როგორც ინსტიტუციონალურად გარდამავალი ეკონომიკური და სოციალური ისტორია. წინა პერიოდის ეკონომიკური კავშირები (ნარჩუნდებოდა 1990 წლამდე) დაირღვა, წარსულში გაზიარებული გამოცდილება მოძველდა, წინანდელი სოციალური (ურთიერთობების) მნიშვნელობა და ინდივიდუალური ნდობა დიდწილად დაიკარგა. 1990 წლის შემდეგ შემოსულმა ადმინისტრაციულმა და ინსტიტუციონალურმა ცვლილებებმა კი ახალი წესები დაამკვიდრეს. აზერბაიჯანში 2003 წლის შემდეგ ეკონომიკური ბუმი, რაც ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ექსპორტის შედეგია, საქართველო კი ასეთი შემოსავლების შესაძლებლობებს მოკლებულია, მის წინაშე კვლავ მწვავედ დგას ისეთი გამოწვევები როგორც სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი და ერთ სულ მოსახლეზე დაბალი მშპ. მეორემხრივ აზერბაიჯანი უფრო ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ დარჩა, რეგიონალურ დონეზე ნაკლები ეკონომიკური თავისუფლებით და რეგიონებში დიდი მოცულობით სახელმწიფო ინვესტიციებით, მაშინ როდესაც საქართველო უფლება-მოვალეობებს რეგიონალურ დონეზე წყვეტს. მაგრამ მიუხედავად თავისუფლების ამ ხარისხისა, რეგიონალური ხელისუფლებას დაფინანსების სიმცირის გამო ქმედების თავიუფლება ეზღუდება.

**გეოგრაფია და ინფრასტრუქტურა:** ზემოთხსენებული სასაზღვრო რაიონების გეოგრაფიული პირობები საკმაოდ მრავალფეროვანია: დაწყებული ციცაბო მთებით, ტყიანი მასივებით და რეგიონებით წყალუბვ სარწყავიანი სახნავ-სათესი რესურსებით აღმოსავლეთ ნაწილში, (შექი-ზაქათალა და კახეთი) დამთავრებული გვალვიანი, ნახევრად უდაბნოებით დასავლეთ ნაწილში (განჯა-ყაზახი და ქვემო ქართლი). ამ რაიონებში სარწყავი არ არსებობს, მისი ნაწილის მორწყვის ერთადერთი საშუალება მდინარე მტკვარია. მოსაზღვრე რეგიონებს შორის სატრანსპორტო არხები კარგად არის განვითარებული - აზერბაიჯანის მხრიდან საქართველოს მოსაზღვრე მხარეების ადმინისტრაციული ცენტრებისაკენ ორი პირველი მნიშვნელობის გზა მიდის. ბაქო-თბილისის დამაკავშირებელი მაგისტრალი რომელიც „ტრასეკა“-ს დერეფნის ნაწილი გახდა, განჯის გავლით გადის, რომელიც თავისმხრივ 330,000 მეტი მაცხოვრებელით აზერბაიჯანის მეორე უდიდესი ქალაქია. ამ გზის გასწვრივ ბაქოდან განჯის გავლით მიემართება სარკინიგზო კავშირიც რომელიც ასევე კვეთს საზღვარს და რუსთავის გავლით თბილისისაკენ მიემართება; ამავდროულად შექი-თელავის დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზი კვლავ მშენებლობის

პროცესშია. განჯა-ყაზახისა და ქვემო ქართლის ტერიტორიაზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც, ამით კი რეგიონი საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კვანძი ხდება.

**დემოგრაფია და მოსახლეობა:** ტერიტორიალური პროგრამის არეალის ქართული ნაწილი ძირითადად სოფლის მოსახლეობით არის წარმოდგენილი: კახეთში, მოსახლეობის დაახლოებით 80 პროცენტი სოფლად ცხოვრობს და რეგიონის 9 ქალაქიდან მხოლოდ ადმინისტრაციულ ცენტრში-თელავში აჭარბებს მცხოვრებთა რაოდენობა 20,000-ს. ქვემო ქართლის ურბანიზაციის მაჩვენებელი უფრო მაღალია - დაახლოებით 40 პროცენტი. აზერბაიჯანში შექი-ზაქათალას რაიონში განჯა-ყაზახთან შედარებით მეტია სოფლად მაცხოვრებელთა რიცხვი, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი რეგიონის 12 ქალაქში ცხოვრობს.

ორივე ქვეყანაში არსებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მოსაზღვრე რეგიონებში შიდა მიგრაცია და „ტვინების დედაქალაქებისაკენ გადინება“ არ უნდა წარმოადგენდნენ დიდ პრობლემას. მოსახლეობის რიცხვი ყველა რეგიონში იზრდება, სოფელსა და ქალაქში მაცხოვრებელი მოსახლეობის შეფარდება კი სტაბილური რჩება ბოლო წლების განმავლობაში. ამის მიუხედავად საერთო სტატისტიკა ყოველთვის ზუსტად არ ასახავს მდგომარეობას კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში - რეგიონალური ექსპერტების მონაცემებით კახეთში სოფლების გარკვეული რაოდენობა თითქმის მიტოვებულია, ახალგაზრდობა კი აქტიურად ტოვებს რეგიონს.

ოთხი რეგიონიდან ეთნიკური შემადგენლობა მრავალფეროვანი მხოლოდ საქართველოშია - სადაც ეთნიკური აზერბაიჯანელების წილი დიდია, განსაკუთრებით ქვემო ქართლში (მთლიანი რეგიონის მაცხოვრებელთა დაახლოებით 45% აზერბაიჯანელია). ზოგიერთ ქალაქში კი უპირატესად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს (მაგ. გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, დმანისი). აზერბაიჯანში ზოგადად, ისევე როგორც აქ განხილულ შესაბამის რაიონებში მოსახლეობა თითქმის მთლიანად ჰომოგენურია ეთნიკური თვალსაზრისით - სხვა ეთნოსების წარმომადგენლები მაცხოვრებელთა უმნიშვნელო წილს შეადგენენ, ეთნიკურ ქართველთა ხვედრითი წილი აქ 0.1%-ის ნიშნულზე რჩება.

**სოფლის მეურნეობა:** პროგრამის ტერიტორიის ორ რეგიონში: შექი-ზაქათალა და კახეთი, სოფლის მეურნეობას რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში წამყვანი როლი აქვს. კახეთში, სადაც სოფლის მეურნეობაში მონოკულტურები დომინირებენ, მევენახეობას (ყურძნის მოყვანა ღვინის წარმოებისათვის) ისტორიული ფესვები აქვს და ეს რეგიონი განთქმულია თავის ღვინოებით, რომელთა ექსპორტსაც მრავალ ქვეყანაში ეწევიან. მოსავლიანი ნიადაგისა და კარგი კლიმატური პირობების დამსახურებით თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მოყვანა და წელიწადში სამ მოსავლამდე აღება შეიძლება. მიუხედავად ამისა მოწეული პროდუქცია ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე იყიდება. უფრო სამხრეთით მდებარე შექის რეგიონი შესაფერისია მეხილეობის, თამბაქოს ზრდისა და სააბრეშუმე ჭიის გამოსაყვანად - საკაკლე პლანტაციების გაშენება კი, რომლებიც საქართველოშია გავრცელებული, ახლა იგეგმება. ნაკლებმოსავლიანობის მიზეზები ორივე რეგიონში ერთნაირია - ზედმეტი სასუქები და წყალდიდობის შედეგად მიღებული ზარალი. იგივე ეხება სასაქონლო მეურნეობების მიერ სამოვრების ბოროტად გამოყენების შედეგად დაზიანებას, რაც ასევე გავრცელებული პრაქტიკაა. ქვემო ქართლისა და განჯა-ყაზახის გვალვიანი რეგიონებში მიწათმოქმედება ასეთი გავრცელებული არ არის. ბოლო წლების განმავლობაში ამ სექტორის მოდერნიზებისათვის საჭირო ცვლილებები განხორციელდა: მაგ. განჯა-ყაზახში მებაღეობა ვითარდება; ამის მიუხედავად, ორივე რეგიონში რჩება წყალდიდობის პრობლემა, რაც საზღვრის მკვეთი მდინარით არის გამოწვეული. კლიმატის ცვლილებებსა და ექსტრემალური ამინდის მზარდი ინციდენტების გამო, ოთხივე რეგიონში ბუნებრივი კატაკლიზმების წინაშე დაუცველობის ხარისხი იზრდება. ამიტომ, სასურველია ასეთი საფრთხეებისაგან თავდასაცავად, ყველა რეგიონში მსგავსი ზომების მიღება და სტიქიის საწინააღმდეგო დაზღვევის ამოქმედება.

**ინდუსტრია:** ოთხივე რეგიონში არსებობს ინდუსტრიული ობიექტები, რომლებიც მეტალურგიითა და მადნის მოპოვებით არიან დაკავებული, მაგრამ მხოლოდ ქვემო ქართლშია დიდი ინდუსტრიული საწარმოები, რაც ამ სექტორის სტრატეგიულობას განსაზღვრავს. რეგიონის მშპ-ს 41% ამ სექტორიდან მოდის. ამის გარდა რეგიონში მოქმედებს სასუქისა და სამშენებლო მასალების დიდი საწარმოები (განვითარების დიდი პოტენციალით). კახეთში კი ინდუსტრია მშპ-ს მხოლოდ 9%-ა და ელექტროენერჯის, გაზის, წყლის გამომუშავებასა და საკვები პროდუქციის წარმოებისაგან შედგება. მსგავსი მოდელია მოსაზღვრე შექი-ზაქათალას რეგიონშიც, სადაც ეს სექტორი ინდუსტრიული პროდუქციის 34%-ს, განჯა-ყაზახში კი 33%-ს შეადგენს. განჯაში განთავსებულია ინდუსტრიული მნიშვნელობის ობიექტები - ალუმინის ქარხანა და მცირე სატრაქტორე საწარმო.

**მომსახურების სექტორი, ტურიზმის ჩათვლით:** ზოგადად, განსხვავებული ეკონომიკური განვითარების გამო, სასაზღვრო რეგიონებში მომსახურების სექტორებს შორის დიდი კონტრასტია, ამის გამო მხარეებს შორის თანამშრომლობის პოტენციალი დიდია. ორ აზერბაიჯანულ რეგიონში პირადი შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის გამოისობით მოსახლეობისადმი გაწეულმა სერვისებმა მკვეთრად მოიმატა. საცალო ვაჭრობის მაჩვენებელი 2003-2012 წლებში რვაჯერ გაიზარდა. როგორც სამთავრობო ინფრასტრუქტურული დაფინანსებით, ასევე კერძო ძალისხმევით, სამშენებლო სექტორში ნამდვილი ბუმი დაიწყო. 2004 წლის მაჩვენებელთან შედარებით 2012 წელს მშენებლობაში ინვესტირებული თანხები 25-ჯერ გაიზარდა. დამაბრკოლებელ ფაქტორად სამშენებლო მასალებით მომარაგება რჩებოდა, ამ პრობლემის გადაჭრის ნაწილობრივი გზა მოსაზღვრე საქართველოს გამოუყენებელი შესაძლებლობებია - მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განსხვავებული საბაჟო კანონმდებლობისა და რეგულაციების მიერ გამოწვეული ინსტიტუციური პრობლემები მოგვარდა. ზემოხსენებულის შედეგად აზერბაიჯანულ რეგიონებში სატრანსპორტო ტვირთბრუნვა გაორმაგდა; მიუხედავად ამისა საზღვრის მკვეთი ტვირთების მოცულობის დასადგენად საჭირო ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს.

საკუთრივ ტურიზმის სექტორი კახეთსა და ქვემო ქართლში უფრო განვითარებულია. აქ, სასტუმროებისა და განსახლების სერვისის გარდა (თუმცა სარწმუნო, დაზუსტებული ინფორმაცია რეგიონის განსახლების შესაძლებლობებზე არ არის ხელმისაწვდომი), ბევრ გასართობ და დასასვენებელ დაწესებულებას გვთავაზობენ. ტურისტული ნაკადებისა და ამ სექტორში დასაქმებული ადამიანების მკვეთრი მატება (+34% 2006-2012 წლების მაჩვენებლებით) გავითარების დიდ პოტენციალზე მეტყველებს. მიუხედავად ამისა, განსახლების სტანდარტები დაბალია და მის გასაუმჯობესებლად საჭირო ფინანსური რესურსიც მწირია. აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონებში სიტუაცია დიამეტრალურად განსხვავდება, განსაკუთრებით ეს განჯას ეხება - პირველხარისხოვანი და კომფორტული სასტუმროების სიუხვიე, მიმზიდველი ბუნება და ისტორიული ღირშესანიშნაობები ვერ ზრდის ტურისტებს რიცხვს; ძირითადად რეგიონს ბიზნესმენები სტუმრობენ.

**ეკოლოგია, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის რესურსები:** თითოეული საზღვრისპირა რაიონი მდიდარია უძველესი კულტურული ძეგლებით, ზოგი მათგანი ქვის ხანის არის და საერთაშორისო მნიშვნელობის ძეგლს წარმოადგენს. ასევე ბევრია ბუნებრივი ღირშესანიშნაობები, დაწყებული ცივი და ცხელი წყაროებით, დამთავრებული კავკასიონის მთათა მწვერვალებით. ზაქათალას დაცული ტერიტორია საქართველოს ესაზღვრება, ისევე როგორც ლაგოდეხის დაცული ტერიტორია ესაზღვრება აზერბაიჯანს. რადგანაც მდინარე ალაზანი საზღვარს კვეთს და ამასთან სარწყავ რესურსად გამოიყენება, მდინარისა და პარკის ერთობლივი მენეჯმენტი აუცილებლობას წარმოადგენს.

საერთო ეკოლოგიური პრობლემების მიზეზი წყალდიდობების მომატებული რაოდენობაა, რაც სახნავი ნიადაგების გამორეცხვის ძირითადი გამომწვევი მიზეზია, ამიტომაც რეგიონალური განვითარების სტრატეგია პრიორიტეტს ანიჭებს ყველა საზღვრისპირა და საზღვრის მკვეთი მდინარის მონიტორინგსა და წყალდიდობისაგან დაცვას. ქართულ რეგიონებში თავს იჩენს ნაწილობრივ გადაუჭრელი მიწის

საკუთრების პრობლემა. წყლის დაბინძურება, რაც გამოწვეულია გაუმართავი წყალარინებით და მიწაში ღიად მყოფი კონცენტრირებული მყარი ნარჩენების დატოვება, გამოკვეთილი პრობლემაა ყველა რეგიონში და საერთო გამოწვევაა. ამას ქვემო ქართლში ემატება ინდუსტრიული დაბინძურება, რის გამოც აუცილებელია მტკვრის აუზის ერთობლივი მონიტორინგი. რაც შეეხება სახნავ-სათეს და ტყის მასივით დაფარულ სასაზღვრო ტერიტორიებს - აქ ხანძრის ადრეული შეტყობინების სისტემებს შეუძლიათ შეამცირონ ცეცხლისაგან გამოწვეული ზიანი.

**საცხოვრებელი პირობები:** საცხოვრებელი პირობები ოთხივე რეგიონში ასახავს ბოლოდროინდელ ეკონომიკურ განვითარებას, მაგრამ ასევე თავიანთი ქვეყნების სასტატო პირობებს. მაშინ როდესაც აზერბაიჯანში რესურსებისაგან მიღებული კაპიტალი რეგიონებში გაედინება ორმხრივი ეკონომიკური საქმიანობისა და სამთავრობო ინვესტიციების გზით, ქართული რეგიონები საკუთარ ბიზნეს შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო შემოსავლებს, ორი აზერბაიჯანული რეგიონი 2003 წლის შემდეგ დაწყებული შემოსავლების დინამიკას რამდენადმე ჩამორჩება, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლები გაოთხმაგდა - მაგრამ საწყისი ათვლის წერტილი საკმაოდ დაბალი იყო. უმუშევრობის კომპენსაციას ერთეულები იღებენ - დასაქმებულთა ანაზღაურება კი საშუალო ეროვნული შემოსავლის მხოლოდ ორ მესამედს შეადგენს, სხვა შემოსავლის წყაროებს თვითდასაქმება და სახელმწიფო დახმარება წარმოადგენს. იგივე მაჩვენებლებია საქართველოს კახეთის რეგიონშიც, სადაც საშუალო ხელფასი ეროვნული მაჩვენებლის დაახლოებით ნახევარია, მაგრამ რეგიონალური განვითარების გეგმის თანახმად, მუშახელის 71% თვითდასაქმებულია, საყოფაცხოვრებო შემოსავლების 14% კი სახელმწიფო დახმარებაზე მოდის. უფრო დაბალი შემოსავლების დონის გამო სახელმწიფო ტრანსფერები და დახმარება საქართველოს რეგიონებში უფრო დიდ როლს თამაშობს. აზერბაიჯანის მეზობელ რეგიონებში მომუშავე საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი გზავნილების მნიშვნელობის შეფასება ძნელია სტატისტიკის არქონის გამო. ინსტიტუციური ბარიერების შემცირებამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს საქართველოს მოქალაქეების, განსაკუთრებით კი საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანლების შემოსავლებზე.

ჯანდაცვისა და განათლების სისტემების ინფრასტრუქტურა პროგრამის ყველა რეგიონში საბჭოთა მემკვიდრეობისაა და ზოგადად დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ამისა განახლება ესაჭიროება ყველა რეგიონის ინფრასტრუქტურასა და შენობებს. ისეთი გამოწვევები როგორც მედკერსონალისათვის აუცილებელი თანამედროვე ტექნიკური უნარების შეძენა ყველა რეგიონში, ერთნაირია და მათი გადაჭრა ერთობლივი ზომებით შეიძლება. წყალარინების სისტემების უკმარისობით გამოწვეული წყლის არადამაკმაყოფილებელი ხარისხი დაავადებების გამომწვევი მიზეზია - რაც ასევე ყველა რეგიონის მსგავსი პრობლემაა. კახეთში ოჯახების მხოლოდ 10%, ქვემო ქართლში კი დაახლოებით 33%-მდე მიდის წყლის გაყვანილობის ქსელი; მეზობელ აზერბაიჯანის რეგიონებში განვითარების გეგმით გათვალისწინებულია ამ სისტემების შეკეთება/ახლის აშენება. ელექტრო ქსელები კახეთის ზოგიერთ მოშორებულ დასახლებაში ჯერ კიდევ არ არის გაყვანილი, თუმცა რეგიონს ჰიდრო ენერჯის გამომუშავების დიდი პოტენციალი გააჩნია. ამის გამოსაკვლევად და საერთო გამოყენებისათვის და ეფექტის საზღვრის ორივე მხარეზე მისაღებად აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონებისაწყის ეტაპზე უნდა ჩაერთონ.

## 2.4 სუსტი და ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობათა საფრთხეების (SWOT) ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
კარგი კლიმატური პირობები ეფექტური სასოფლო სამეურნეო და ეკოლოგიური მეურნეობებისათვის	რეგიონალური ეკონომიკის სოფლის მეურნეობის სექტორზე ზედმეტი დამოკიდებულება
აზერბაიჯანისა და საქართველოს დედაქალაქებს შორის მარშრუტზე კარგი გეოგრაფიული	რეგიონალური ეკონომიკის დაბალკვალიფიციურ მუშახელზე ზედმეტი დამოკიდებულება, რაც



<p>მდებარეობა</p> <p>საერთაშორისო სატრანზიტო მიმართულებებისათვის გამოსადეგი განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა</p> <p>ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის უხვი რესურსები</p> <p>რეგიონის, როგორც სამოსახლო ადგილის მიმზიდველობა</p>	<p>აფერხებს უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების შექმნას</p> <p>ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას აფერხებს მოძველებული ინფრასტრუქტურა (მაგ.საწყალარინო ქსელი, სარწყავი სისტემა )</p> <p>განუვითარებელი მცირე-საშუალო ბიზნესი და ზოგადად, მომსახურების სექტორი</p> <p>ბუნებრივი რესურსების ეტაპობრივი გამოფიტვა რეგიონების სოციალური მომსახურების სიმწირე</p> <p>ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან, განსაკუთრებით წყალდიდობების, გვალვისა და მიწისძვრებისაგან დაუცველობა</p>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<p>საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის პოზიტიური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების პროცესის გაგრძელება</p> <p>აზერბაიჯანის ეკონომიკური ბუმის შესაძლო გარდამავალი ეფექტი საზღვრის ორივე მხარეს (მაგ. მოთხოვნა საშენ მასალებზე, კვალიფიციურ მუშახელზე და ა.შ.)</p> <p>მთლიანობაში, კავკასიის რეგიონში ტურისტების მზარდი რაოდენობა</p> <p>ახალი რეგიონული განვითარების პროგრამები და ინფრასტრუქტურული პროექტები რომლებიც სასაზღვრო რეგიონებში ინვესტიციებს იზიდავენ</p> <p>გლობალურ, რეგიონალურ და შიდა ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე შესაძლო გაზრდილი მოთხოვნა</p> <p>განახლებადი ენერგოპროდუქტების შესაძლო ზრდა, მაგ. ჰიდრო-ელ. გენერაცია, მზის ენერჯია</p>	<p>რეგიონებს შიგნით შემოსავლების დიდი კონტრასტი (ეკონომიკურ სფეროებს შორის; სოფელსა და ქალაქს შორის)</p> <p>პროგრამის ტერიტორიაზე საინვესტიციო შესაძლებლობებს შორის კონტრასტი, რაც ეკონომიკურ დისბალანსს და უთანაბრობას იწვევს</p> <p>პროგრამის ტერიტორიაზე განსხვავებული რეგიონული მართვის სტრუქტურა, რაც რეგიონალურ თანამშრომლობის დამაბრკოლებელი ფაქტორია</p> <p>განსხვავებული სავაჭრო პოლიტიკა, რამაც შესაძლოა საკანონმდებლო ზომების მიღების აუცილებლობა დააყენოს დღის წესრიგში, რაც თავის მხრივ ეკონომიკური კავშირების შემზღუდავ ფაქტორად შეიძლება იქცეს</p> <p>კლიმატის ცვლილების უარყოფითი ეფექტი, რაც ბუნებრივ კატაკლიზმებთან დაკავშირებულ ინციდენტების რაოდენობას ზრდის, განსაკუთრებით, წყალდიდობას და გვალვას</p> <p>რესურსების ინტენსიური ექსპლოატაციით გამოწვეული მოსავლის ვარდნა სასოფლო სამეურნეო სექტორში</p> <p>რეგიონთან ახლო მდებარე პოლიტიკური და ეკონომიკური ცენტრების მზარდი მიმზიდველობა, რამაც შესაძლოა რეგიონიდან ინტელექტის გადინებასა და მის მოსახლეობისაგან დაცლას შეუწყოს ხელი.</p>

### 3. ტერიტორიული თანამშრომლობის (TC) პროგრამის სტრატეგია

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ზოგადი მიზანია მოსაზღვრე რაიონების ადგილობრივ ხელისუფლებათა შორის კონტაქტების გაძლიერება, თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების დახმარებით ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება საერთო სოციალური და ეკონომიკური განვითარების გამოწვევებზე.

პროგრამის სამიზნე არეალის სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ განვითარების ანალიზს მივყავართ დასკვნამდე, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრისპირა რაიონების ტერიტორიულ თანამშრომლობას სამი სპეციფიური მიზნის მიღწევაში შეუძლიათ დახმარება, რომლებიც განუხორციელებლია ცალმხრივი ეროვნული რეგიონალური განვითარების ზომების მეშვეობით:

პირველი, ნეგატიური გარდამავალი ეფექტების მინიმიზაციის მიზანი: ერთი ქვეყნის სასაზღვრო რაიონში განხორციელებული ქმედებები შეიძლება ტვირთად დააწვეს, ან სულაც ავნოს მეორე ქვეყნის შესაბამის მოსაზღვრე რაიონს. აღნიშნული რისკები შესაძლო თავიდან აცილება ან შემცირება მხოლოდ ქვეყნებს შორის ერთობლივი ქმედებებით არის შესაძლებელი.

მეორე, პოზიტიური გარდამავალი ეფექტების მაქსიმიზაციის მიზანი: ერთი ქვეყნის სასაზღვრო რაიონში განხორციელებულმა საქმიანობამ შესაძლოა დამატებითი სარგებელი მოუტანოს მეორე ქვეყნის შესაბამის სასაზღვრო რაიონს, მაგრამ ეს მხოლოდ თანამშრომლობის, პროდუქციის ორმხრივი მიმოსვლის ხელშეწყობისა და ბაზრების, ტექნოლოგიებისა და კლიენტურის შესახებ ინფორმაციის გაზიარების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

მესამე მიზანი საზღვრებს შორის ურთიერთობების/სოციალური კავშირების პოტენციალის სრულად გამოყენებაა. განგრძობითი პიროვნული ურთიერთობები ნდობის საფუძველია ისევე როგორც ინფორმაციის გაცვლის გაუმჯობესების საშუალება. მომავალში საზღვრისპირა რაიონებს შორის სხვადასხვა სფეროებში საქმიანობის ხელშეწყობისათვის და დაბრკოლებების აღმოსაფხვრელად, ასევე კულტურული, საგანმანათლებლო თუ სპორტული ღონისძიებების განვითარებისათვის, მნიშვნელოვანია ადამიანებს შორის ურთიერთობებისა და კონტაქტის ხელშეწყობა.

## 4. ძირითადი პრიორიტეტები და ქმედებები

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამას სამი სამოქმედო მიზანი აქვს:

- I. სასაზღვრო რაიონებში ადგილობრივ თემთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად ერთობლივი ეკონომიკური და სოციალური პროექტების განვითარების ხელშეწყობა
- II. ეკოლოგიის, დასაქმების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სხვა სფეროების გამოწვევების გადაწყვეტა, რომლებიც საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის მასშტაბით საერთო ინტერესის საგანს წარმოადგენენ
- III. კულტურა, განათლება და სპორტი

### 4.1 სამოქმედო მიზანი 1 - ადგილობრივ თემთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

ამ სამოქმედო მიზნის ფარგლებში შემდეგი ორი ძირითადი მიმართულებით სწრაფვა იქნება მხარდაჭერილი:

- სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური სექტორების საქმიანობის განვითარება საზღვრის ორივე მხარეს

ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, სოფლის მეურნეობა აზერბაიჯანულ-ქართული საზღვრისპირა რეგიონების როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური ქსოვილის ხერხემალია. მსგავსი გეოგრაფიული პირობების გამო, განსაკუთრებით კი საერთო ბუნებრივი რესურსების გამოისობით (წყალი), სასაზღვრო

რეგიონების ტერიტორია შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სასოფლო სამეურნეო სექტორის ერთი სივრცე. ამ სექტორში მოდერნიზების მცდელობები სასიკეთო გამოცდილების დააგროვებისა და გაკვეთილების მიზეზი გახდა. სასაზღვრო რეგიონებში მსგავსი პრობლემების მოსაგვარებლად კავშირების დამყარება, სასარგებლო გამოცდილების გაზიარება და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვამ შესაძლოა სინერგიული ეფექტი მოგვცეს. შემდეგი ნაბიჯები შეიძლება ერთობლივი საქმიანი პროექტების საფუძვლად იქცეს (სია არასრულია):

- ბაზრების შესახებ ინფორმაციასთან წვდომის გასაუმჯობესებლად, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მრეწველთათვის ბიზნეს საინფორმაციო მომსახურების ჩამოყალიბება და განვითარება;
- აგრარული პროდუქციის მეწარმეთათვის საბაჟო პროცედურებში უკეთ გარკვევისათვის ერთობლივი ქმედებები სასაზღვრო ვაჭრობის გასავითარებლად;
- ტრენინგი და კვლევები ერთობლივი საექსპორტო უნარჩვევების გაზრდის გასავითარებლად;
- შესაბამის სასაზღვრო რაიონებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობის მიზნით ბაზრობებისა და გამოფენების რეგულარულად (სეზონურად) ორგანიზება;
- უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქციის ერთობლივი განვითარებისათვის ხელშემწყობი ქსელური და სავაჭრო ურთიერთობების წახალისება;
- საზღვრის წარმომქმნელი წყლის რესურსების მუდმივი გამოყენების უზრუნველსაყოფად ერთობლივი საირიგაციო სისტემების განვითარება;
- სასარგებლო გამოცდილების გაცვლა, სოფლის მეურნეობასა და მომიჯნავე საწარმოო დარგებში ინოვაციურ ტექნოლოგიებში ტრენინგი;
- სამეცნიერო მუშაობის, კვლევებისა და საადვოკატო საქმიანობის განვითარება სოფლის მეურნეობის სექტორში სტრუქტურული რეფორმების მხარდასაჭერად.

• საზღვრისპირა რეგიონების ტურიზმის პოტენციალის შექმნა

როგორც აზერბაიჯანის, ასევე საქართველოს სასაზღვრო რაიონები, მრავალი ნაირსახეობის საინტერესო კულტურული მემკვიდრეობითა და ბუნების ღირშესანიშნაობითაა წარმოდგენილი, რომელიც როგორც ადგილობრივ - ასევე საერთაშორისო ტურისტებს იზიდავს. ერთისმხრივ არსებული რესურსები, მეორეხრივ კი ტურისტული ნაკადები სასაზღვრო რეგიონში ტურიზმის განვითარების საფუძველია. ერთისმხრივ ამ პოტენციალის გამოსაყენებლად საერთო ძალისხმევამ შეიძლება საზღვრის ორივე მხარეს ბიზნესისათვის დამატებითი ღირებულება მოიტანოს, მეორეხრივ კი მომარაგების სფეროს განვითარება (ღირშესანიშნავი ადგილები, განსახლების, რეკრიაციული და ა.შ. სერვისის მიმწოდებლები) ახალ შესაძლებლობებს აჩენს ეკონომიკური სფეროების მომსახურეობისაკენ დივერსიფიცირებისათვის. შემდეგი ნაბიჯები შეიძლება ერთობლივი საქმიანი პროექტების საფუძვლად იქცეს (სია არასრულია):

- მოსაზღვრე რეგიონებში ბიუროების ქსელების, ასოციაციების, ოპერატორების, საინფორმაციო ცენტრებისა და სასტუმროების ქსელების ჩამოყალიბება;
- ერთობლივი საზღვართშორისი ტურისტული მარშრუტების შექმნა;
- ტურისტულად საინტერესო ღირშესანიშნაობების აღდგენა, როგორც შიდა, ასევე საზღვართშორისი ტურისტული მიმოსვლის სტიმულირებისათვის;
- არსებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის ადგილობრივი ტურ-ოპერატორების ერთობლივი ტრენინგები;

**4.2 სამოქმედო მიზანი 2 - საერთო გამოწვევების დამუშავება**

სამოქმედო მიზნებში შემდეგ ორ ძირითად პრიორიტეტზე მიმართულ საქმიანობებისაკენ იქნება მიმართული მხარდაჭერა:

- სასაზღვრო რაიონების ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა და საგანგებო მდგომარეობისათვის მზაობა

სასაზღვრო რეგიონების გეოგრაფია განსაზღვრავს პროგრამის ტერიტორიის გამორჩეულ ეკოლოგიურ სახეს. იგი ვრცელ საერთო ბუნებრივ რესურსებს მოიცავს: საზღვრის ორივე მხარეს კუთვნილი ალაზნისა და მტკვრის მდინარეებით დაწყებული მთის ტყიანი მასივებითა და გვალვიანი ნახევარუდაბნოებით დამთავრებული. გარემოში ჩარევა საზღვრის ერთ მხარეს სავარაუდოდ იქონიებს ზეგავლენას - დადებითს, ან უარყოფითს საზღვრის მეორე მხარეს. ამიტომაც ეკოლოგიური პრობლემების - წყლის რესურსების, ჰაერის დაბინძურების, ბუნებრივი კატაკლიზმების რისკებთან გამკლავებას ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება. შემდეგი ქმედებები შესაძლოა ერთობლივი პროექტების საგნები გახდნენ (სია არ არის ამომწურავი):

- წყლის რესურსების ერთობლივი მონიტორინგი და მენეჯმენტი;
- იმ სამრეწველო ზონების ერთობლივი მონიტორინგი, რომლებიც სერიოზულ ეკოლოგიურ ზიანს აყენებენ საზღვრის მიმდებარე რეგიონებს ჰაერის, წყლის, ნიადაგის თუ მიწისქვეშა წყლების დაბინძურებით;
- ტყეების, ეკოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობის არელების ერთობლივი მონიტორინგი და მენეჯმენტი, დაცული ტერიტორიების ჩათვლით სასაზღვრო რეგიონებში, რათა თავიდან ავიცილოთ ტყეების შემდგომი გამეჩხერება და შევინარჩუნოთ ბიო-მრავალფეროვნება;
- ერთობლივი ღონისძიებები საგანგებო მდგომარეობების - წყალდიდობების, მიწისძვრების ა.შ. მზაობის გასაუმჯობესებლად;
- ნარჩენების მოგროვების, მენეჯმენტის და გადამუშავების ერთობლივი მიდგომები;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება სასაზღვრო გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ.

### 4.3 სამოქმედო მიზანი 3 - კულტურა, განათლება და სპორტი

სამოქმედო მიზნებში შემდეგ ორ ძირითად პრიორიტეტზე მიმართულ საქმიანობებისაკენ იქნება მიმართული მხარედაჭერა:

- სოციალური ჩართულობის საშუალებების გაუმჯობესება

შესაბამის რეგიონებში მოსახლეობის სოციალური ფასეულობებს საფუძვლად საერთო ტრადიციები უდევს. ამის შედეგად ჩამოყალიბდა იდენტური დამოკიდებულება უფროსების, განსხვავებული ჯგუფების (მაგ. ინვალიდები), ეთნიკური უმცირესობების და გენდერული საკითხების მიმართ. სოციალური პრობლემების გადასაჭრელად გარდამავალი ეკონომიკური და სოციალური პერიოდის განმავლობაში ორივე ქვეყანამ საკუთარი მიდგომები განავითარა. საზღვრისპირა რეგიონებში მსგავსი სოციალური პრობლემების გადასაჭრელად გამოცდილების გაზიარებამ შესაძლოა ამ სფეროში ახალი და ინოვაციური მეთოდები დაწეროს. შემდეგი ქმედებები შესაძლოა ერთობლივი პროექტების საგანი გახდეს (სია არ არის ამომწურავი):

- სახელმწიფო, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ქმედება სოციალური პრობლემების გადასაჭრელად;
- ერთობლივი ინიციატივები გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით;
- საზოგადოებრივი მომსახურების განვითარება;
- გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა სასაზღვრო რეგიონების სახელმწიფო და არასამთავრობო წარმომადგენელთა შორის;
- ტრენინგების, კვლევებისა და საადვოკატო საქმიანობის გახორციელება სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით.

- რეგიონალურ მედიასთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.
- კავშირის დამყარება სასაზღვრო რეგიონის ახალგაზრდობას შორის

სასაზღვრო რეგიონების ახალგაზრდობას შორის კავშირის დამყარებას შეუძლია წახალისოს თანამშრომლობის კულტურა და ჩამოაყალიბოს საერთო ფასეულობები, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყრება ხანგრძლივ თანამშრომლობას. ამიტომაც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის კავშირის დამყარებაში ინვესტირებამ და მათმა ჩართვამ სოციალური, განათლების, ეკოლოგიური და კულტურული პრობლემების გადაჭრის გზების საძიებლად შესაძლოა პროგრამის მდგრადობის გაზრდაში თავის წვლილი შეიტანოს. შემდეგი ქმედებები შესაძლოა ერთობლივი პროექტების საგანი გახდეს (სია არ არის ამომწურავი):

- ახალგაზრდული ორგანიზაციების თანამშრომლობა განათლებასა, სპორტსა და კულტურაში;
- ერთობლივი კულტურული და სპორტული ფესტივალების მოწყობა
- სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ორგანიზაციებს შორის გაცვლითი თანამშრომლობა
- ერთობლივი ინიციატივები ახალგაზრდობის დასაქმების გასაუმჯობესებლად, მათ შორის პროფესიული სწავლებისა და ტრენინგისათვის;
- მულტი კულტურული მრავალფეროვნების, მემკვიდრეობისა და ტოლერანტურობის წახალისება.

## 5. შედეგთა ინდიკატორები

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის წარმატება შემოწმდება მიონიტორინგის გზით, იმის დასადგენად, თუ რამდენად მისდევს და ხელს უწყობს (ENPI) რეგიონალური აღმოსავლეთის პროგრამის სტრატეგიის 2010-2013 წლების დოკუმენტის და 2010-2013 წლების ინდიკატიური პროგრამის შესრულებას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის მხარდამჭერი პროგრამის შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებათა შედეგების მიხედვით, დადგენილი იქნა სავარაუდო გათვლები. გამოყენებული იქნება შემდეგი რაოდენობრივი ინდიკატორები:

ასპექტი	იზომება:	საწყისი	მიზანი
სასაზღვრო რეგიონების ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის გაზრდილი სტრუქტურირებული და ინსტიტუციური კონტაქტები	შეთავაზებების პასუხად მიღებული განაცხადების რიცხვი		34
საზღვრის მიღმა განხორციელებული ერთობლივი პროექტების რიცხვი	განაცხადებში ჩართული ორგანიზაციების რიცხვი	0	85
ადგილობრივ თემებს შორის სასაზღვრო კონტაქტების გაზრდილი ინტენსიურობა	ხელმოწერილი საგრანტო კონტრაქტების რიცხვი	0	16
	დასრულებული პროექტების რიცხვი	0	16
	პროექტის ფარგლებში ერთობლივი, განხორციელებული სასაზღვრო ღონისძიებების რიცხვი	n/a	48

დანართი 3 შეიცავს ინდიკატორების მონაცემებს და შედეგს. ეს ინდიკატორები გამოყენებული იქნებიან რეგიონალურ განვითარებაზე პილოტური ტესტის სახით, ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ეკონომიური და სოციალური გავლენის მონიტორინგისათვის.

## 6. პროგრამის მენეჯმენტი

შემდეგი სტრუქტურები იქნება გამოყენებული ერთობლივი სამოქმედო პროგრამის მენეჯმენტისათვის:

ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი: ერთობლივი სტრუქტურა ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის სრული მფლობელობის უზრუნველსაყოფად ორივე მონაწილე ქვეყნის მიერ;

მმართველი ორგანო: იღებს მთლიან პასუხისმგებლობას პროგრამის სამოქმედო და ფინანსურ მენეჯმენტზე და განხორციელებაზე ევროკომისიის წინაშე.

### 6.1 ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი

ერთობლივი გადაწყვეტილების მიმღები კომიტეტი (ეგმკ)-(JDMC) შექმნილია მონაწილე ქვეყნების მიერ - აზერბაიჯანი და საქართველო - პროგრამის მფლობელობის უზრუნველსაყოფად. თითოეული ქვეყანა ასახელებს ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლების ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, რომლებიც თავიანთ წარმომადგენლებს მიავლენენ ეგმკ-ში; ეს დანიშნა ფუნქციონალურია და არა პერსონალური.

კომიტეტის პერმანენტულ შემადგენლობაში შემდეგი ინსტიტუციების ავტორიზებული წარმომადგენლები იქნებიან:

აზერბაიჯანი	საქართველო
1. ეკონომიკისა და მრეწველობის სამინისტრო	1. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
2. საგარეო საქმეთა სამინისტრო	2. საქართველოს ევროპული და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირების სახელმწიფო მინისტრის კაბინეტი
3. კულტურის და ტურიზმის სამინისტრო	3. საგარეო საქმეთა სამინისტრო
4. სახელმწიფო საბაჟოს კომიტეტი	4. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი
5. სახელმწიფო საზღვრების სამსახური	5. რეგიონებთან ურთიერთობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ურთიერთობების დეპარტამენტი, საქართველოს სახელმწიფო კანცელარია
6. განათლების სამინისტრო	6. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმა
7. არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფოს დახმარების საბჭო აზერბაიჯანის პრეზიდენტის ეგიდით	7. კახეთის გუბერნატორის კაბინეტი
8. შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრო	8. ქვემო ქართლის გუბერნატორის კაბინეტი

შემდეგი დამკვირვებლები კომისიის შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ მრჩეველთა უფლებამოსილებით, ხმის მიცემის უფლების გარეშე:

- ევროკომისია, წარმოდგენილი აზერბაიჯანში ევროკავშირის დელეგაციით და ევროკავშირის დელეგაციით საქართველოში
- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი (GIZ) GmbH მმართველი ორგანოს უფლებამოსილებით
- აღმოსავლეთ პარტნიორობის ტერიტორიული თანამშრომლობის დახმარების პროგრამის გუნდი

ეგმკ შეასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- დაადგენს თითოეული პროგრამის პრიორიტეტებს EaPTC დამხმარე პროგრამის ხელშეწყობით და დაამტკიცებს ერთობლივ სამოქმედო პროგრამას;

- გადაწყვეტილებას მიიღებს პროგრამის რესურსების ოპტიმალური გადანაწილების პრიორიტეტებზე;
- კონსულტაციას გაუწევს მმართველ ორგანოს პროექტების შერჩევის კრიტერიუმებზე და აპლიკანტებისთვის სახელმძღვანელოს თაობაზე;
- მმართველ ორგანოსთან კოორდინირებით შეარჩევს ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის მიერ დასაფინანსებელ პროექტებს, რომლებსაც დასჭირდებათ დასტური ევრო-კომისიისაგან;
- მონიტორინგს გაუწევს პროგრამის მიზნისკენ განვითარებას/პროგრესს იმ ანგარიშების შესწავლით, რომლებსაც მმართველი ორგანო წარუდგენს.

ეგმკ-ში გადაწყვეტილების მიღება მოხდება პრინციპით „ერთი ქვეყანა - ერთი ხმა“. დაწვრილებითი სამუშაო და გადაწყვეტილების მიღების მეთოდები ეგმკ-ს პროცედურების წესებში დაკონკრეტდება.

## 6.2 მმართველი ორგანო

მმართველი ორგანოს ფუნქციების შესასრულებლად, ევრო-კომისიამ აირჩია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტი (GIZ) GmbH მმართველი ორგანოს უფლებამოსილებით. ამასთან, გარდა პროგრამის ოპერატიული და ფინანსური მენეჯმენტისა მო შეითავსებს ეგმკ-ს სამდივნოს ფუნქციებსაც.

მმართველი ორგანო (მო) პასუხისმგებელი იქნება ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ოპერატიული/სამოქმედო და ფინანსურ მენეჯმენტზე. იგი შეასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- მოამზადებს და გამოაცხადებს წინადადებების მიღებას;
- მიიღებს და დაარეგისტრირებს საპროექტო განაცხადებს/აპლიკაციებს;
- ორგანიზებას გაუწევს პროექტის შერჩევას;
- ხელს მოაწერს საგრანტო კონტრაქტებსა და და განხორციელებს გადახდებს;
- მეთვალყურეობას გაუწევს პროექტების ოპერატიულ და ფინანსურ განხორციელებას;
- ანგარიშს წარუდგენს ევრო-კავშირს პროექტების ფინანსურ და ოპერატიულ განხორციელებაზე;

მო-ს შეუძლია ხელი მოაწეროს კონტრაქტებს გრანტის მიმღებებთან ერთად (ბენეფიციარებთან ერთად) მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სია დადასტურებული იქნება ეგმკ-სა და ევრო-კომისიის მიერ.

EaPTC მხარდამჭერ პროგრამასთან თანამშრომლობით, მმართველი ორგანო ასევე უზრუნველყოფს როგორც პროგრამის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და მისი აპლიკანტებისთვის თუ ბენეფიციარებისათვის მიწოდებას, ასევე სათანადო ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფას გრანტის კონტრაქტების შეთავაზებისა და განხორციელების პერიოდში.

## 7. პროგრამის განხორციელება

### 7.1 პროექტების შესაბამისობა

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებლად მხოლოდ ის პროექტებია დასაშვები, რომლებიც ნამდვილად სასაზღვრო დანიშნულებისა არიან და გულისხმობენ თუნდაც ერთი

პარტნიორის ჩართულობას თითოეული მონაწილე ქვეყნიდან. როგორც წესი, პროექტის შიგნით განხორციელებული საქმიანობა უნდა ტარდებოდეს დასაშვებ საპროგრამო არეალებში. თუ გამონაკლისი დაიშვა, ეს დაკონკრეტებული უნდა იყოს აპლიკანტებისთვის გამიზნულ სახელმძღვანელოში. ის პირდაპირი შედეგები, რომლებიც პროექტების განხორციელებას უნდა მოჰყვეს, გავლენას უნდა ახდენდნენ საზღვრის ორივე მხარეზე დასაშვებ საპროგრამო არეალებში.

არა-მომგებიანობის წესი შეეხება პროგრამის მიერ დაფინანსებულ პროექტებს: პროექტებს არ შეიძლება ჰქონდეთ მიზნად ან შედეგად მოგების მიღება ამ პროგრამის ჩარჩოებში. კომერციული საქმიანობის დახმარება სახელმწიფო დახმარების სახით არ განხორციელდება.

პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა შეზღუდული იქნება მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 18 კალენდარული თვით. ბენეფიციარებსა და მო-ს შორის გრანტის კონტრაქტის ხელმოწერის დროისთვის, მაქსიმალური ხანგრძლივობა, შეიძლება გადაიხედოს, იმგვარად რომ პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტები დასრულდნენ 2016 წლის 31 ოქტომბრისთვის.

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამას შეუძლია მხარი დაუჭიროს (1) „რბილ“ პროექტებს ანუ რომლებიც გულისხმობენ სტრუქტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს და არ არიან კონცენტრირებულნი მშენებლობაზე ან დანადგარების მიწოდებაზე; და (2) პროექტები, რომლებიც გულისხმობენ მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურულ განვითარებას. პროგრამამ უპირატესობა უნდა მიანიჭოს „რბილ“ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საქმიანობებს, რომლებიც დაკავშირებულია ინსტიტუციურ განვითარებასთან, ტრენინგთან, პოლიტიკის რეფორმასთან, გამოცდილების გაცვლასთან და მსგავსთან და პროექტებს, რომლებიც ახდენენ „რბილ“ ელემენტსა და ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებას შორის ჯანსაღი წონასწორობის დემონსტრირებას.

## 7.2 პროექტის ბენეფიციარების შესაბამისობა

საზოგადოებრივი/საჯარო ორგანოები, საზოგადოებრივთან გათანაბრებული ორგანოები<sup>1</sup>, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლებები, არა-სამთავრობო და არა-მომგებიანი ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პროექტებს საზოგადოების საერთო ინტერესებისათვის დასაშვები არიან ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის დახმარებისთვის. კონკრეტულად, მონაწილე ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობის მიერ განმარტებული შემდეგი იურიდიული ფორმები ჩაითვლებიან დახმარებისთვის შესაბამისად::

აზერბაიჯანი	საქართველო
<p><b>საჯარო ორგანოები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აღმასრულებელი კომიტეტები (კონსტიტუციის 124 მუხლი)</li> <li>• მუნიციპალიტეტები-‘ზელედიე’(კანონი მუნიციპალიტეტების შესახებ მუხლი (13-1); კანონი მუნიციპალიტეტების სახელმწიფო რეესტრის რეგულაციების დამტკიცებისა და მათზე სერტიფიკატების გაცემის შესახებ 29.12.2009; სამოქალაქო კოდექსის მუხლი 43.4)</li> </ul> <p><b>საჯაროსთან გათანაბრებული ორგანოები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიუჯეტის გარე სახელმწიფო ფონდი - კანონი სახელმწიფო ბიუჯეტზე (2002 წლის 2 ივლისი), მუხლი 1.1.5. სახელმწიფო საფინანსო ფონდები, რომლებიც დაარსებულია სახელმწიფოს მიერ როგორც იურიდიული პირები და გააჩნიათ</li> </ul>	<p><b>საჯარო ორგანოები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი თვით-მმართველობის ორგანოები: საკრებულო, გამგეობა, ქალაქის მერის კაბინეტი, მინიციპალიტეტი (განმარტებული კანონში საჯარო სამსახურზე მუხლი 4; კანონში საჯარო სამართლის იურიდიულ საწარმოებზე; ადგილობრივი თვით-მმართველობის კოდექსი)</li> </ul> <p><b>არა-სამთავრობო და არა-მომგებიანი ორგანიზაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არა-სამეწარმეო (არა-კომერციული) იურიდიული საწარმო (განმარტებული სამოქალაქო კოდექსში)</li> <li>• ადგილობრივი მმართველობის ეროვნული სააგენტო (ამეს), გეოგრაფიული</li> </ul>



<p>ს</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იმავე მიზნით არსებული საბიუჯეტო ფონდები - კანონი სახელმწიფო ბიუჯეტზე, მუხლი 1.1.18, მუხლი 5.</li> <li>• მუნიციპალიტეტების ასოციაციები (მუნიციპალიტეტების რეგიონალური ასოციაციის ქარტიის ნიმუში, 2005)</li> </ul> <p><b>არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არაკომერციული იურიდიული საწარმო როგორც ამას განმარტავს სამოქალაქო კოდექსი და კანონი არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ (საჯარო გაერთიანებები და ფონდები)</li> </ul> <p>საჯარო ორგანოს, საჯაროსთან გათანაბრებული ორგანოს, არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციის განსაზღვრებასთან შესაბამისი ყველა სხვა ეროვნული იურიდიული ფორმა როგორც განსაზღვრულია ევროკავშირის 2004/18/EC დირექტივაში</p>	<p>არჩევნების</p> <p>საჯარო ორგანოს, საჯაროსთან გათანაბრებული ორგანოს, არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაციის განსაზღვრებასთან შესაბამისი ყველა სხვა ეროვნული იურიდიული ფორმა როგორც განსაზღვრულია ევროკავშირის 2004/18/EC დირექტივაში</p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

მხოლოდ შესაბამის არეალში მდებარე ორგანიზაციები მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებას.

იურიდიული საწარმოების მონაწილეობა პროექტებში, რომლებიც ვერ ხვდებიან ვერც ერთ ამ კატეგორიაში, მისასალმებელია მხოლოდ ასოცირებული პარტნიორების სახით. მათ თავიანთი საქმიანობის საკუთარი რესურსებიდან დაფინანსება მოუხდებათ და ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამიდან ფინანსურ სახრებს ვერ მიიღებენ.

<sup>1</sup> უფლებამოსილმა პირებმა შემდეგი კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილონ: (ა) საერთო ინტერესებთან შესაბამისობის კონკრეტული მიზნებით იყვნენ დაფუძნებული და არ გააჩნდეთ საწარმოო ან კომერციული ინტერესი; (ბ) ჰქონდეთ იურიდიული პირის სტატუსი და (გ) ძირითადად სახელმწიფო, რეგიონალური, ადგილობრივი ხელისუფლების, ან სხვა საჯარო სამართლის სტატუსის მქონე ორგანიზაციაა მიერ იყვნენ დაფინანსებული; ან ექვემდებარებოდნენ ამ სტრუქტურების მიერ ზედამხედველობას; ან გააჩნდეთ ადმინისტრატიული, მმართველი ან ზედამხედველობის საბჭო რომელთა წევრების ნახევარზე მეტი სახელმწიფო, რეგიონალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ არან დანიშნულნი, ან სხვა საჯარო სამართლის მიერ მართული უფლებამოსილი პირების მიერ. დირექტივა 2004/18/EC თარიღი 31.03.2004, OJ L 134/114 თარიღი 30.04.2004.

### 7.3 კონტრაქტირებისა და განხორციელების პროცედურები

ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის გასახორციელებლად საჭირო კონტრაქტირებისა და განხორციელების პროცედურები პრაქტიკულ სახელმძღვანელოში უნდა განისაზღვროს EC-ს გარე ქმედებების (PRAG) შეთავაზებების დროს. ეს პროგრამა ცალკეული განაცხადების პროცესის ბაზაზე იქნება მართული და საზღვრის ყველა მხარეს დაფარავს.

განაცხადების პაკეტი, აპლიკაციის ფორმისა და მონაწილე პირების სახელმძღვანელო დოკუმენტის ჩათვლით შემუშავებული იქნება მო-ს მიერ აღმოსავლეთ პარტნიორის ტერიტორიული თანამშრომლობის (EaPTC) მხარდამჭერი პროგრამით. პროგრამის შეთავაზებები ღია კონკურსის პრინციპით განხორციელდება. პროგრამის მთელი ხანგრძლივობის მანძილზე მხოლოდ ერთი შეთავაზებაა გათვალისწინებული. მო განაცხადის პაკეტზე შეთავაზების ცნობას მისი JDMC-სთან და ევროპულ კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ გაავრცელებს.

მო EaPTC-ის მხარდამჭერ პროგრამასთან ერთად პოტენციურ აპლიკანტებს შეთავაზების შესახებ ყველა აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოფს. წამყვანმა აპლიკანტებმა საკუთარი პროექტის აპლიკაციები (ელექტრონული ვერსიის ჩათვლით) პირდაპირ მო-ს თბილისის ოფისში უნდა შემოიტანონ; პირადად, კურიერის, ან რეგისტრირებული ფოსტის მეშვეობით. აპლიკანტებისათვის საპროექტო განაცხადის შემოტანის პროცედურისათვის საჭირო დეტალები სახელმძღვანელოში იქნება განმარტებული.

პროექტების შერჩევა და განაცხადების შეფასება ორ ეტაპად ჩატარდება: 1) აპლიკანტთა **უფლებამოსილების** შეფასება, ხარჯები და საქმიანობები (ადმინისტრაციული და მონაწილეობის მიზანშეწონილობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით); და 2) დასაშვები განაცხადების **ხარისხის** შეფასება (შერჩევისა და დაჯილდოვების კრიტერიუმებზე დაყრდნობით). შეფასების პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი მო-ა, JDMC კი საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პროექტის შეფასების შედეგებზე, რომლებიც თავისმხრივ ევროკული კომისიის მიერ უნდა დამტკიცდნენ.

დადგენილი საბოლოო ვადისას მიღებული განაცხადების გახსნა, ადმინისტრაციული დაცვა და შესაბამისობის შემოწმება, მო-ს მიერ უნდა განხორციელდეს. შესაბამისობის შემოწმების დროს, მონაწილეთა იურიდიული სტატუსის დამოწმების მიზნით, მო-ს შეუძლია სახელმწიფო ხელისუფლებასა და აზერბაიჯანსა და საქართველოში მყოფ ევროკავშირის დელეგაციებთან თანამშრომლობა ისევე როგორც იმის გარკვევა ხომ არ აქვს ადგილი სახელმწიფო ან/და ევროკავშირის ორმაგ დაფინანსებას. ყველა ზემოხსენებული შემოწმების პროცედურა მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალურობის პრინციპების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს. პროცესში ჩართული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კი ამ პროცესში დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. შესაბამისობის შემოწმების, ადმინისტრაციული დაცვისა და გახსნის შედეგები JDMC-ს მიერ უნდა იყოს დამტკიცებული. შემფასებლების მიერ შესრულება განაცხადების ხარისხის შეფასება. შემფასებლების შეთავაზება მონაწილე ქვეყნებმა და მო-მ უნდა მოახდინონ, დასახელება კი JDMC-ის გადაწყვეტილებით მოხდეს. შემფასებლებში შეიძლება იყვნენ მო-ს თანამშრომლები, საჭიროების შემთხვევაში კი გარედან მოწვეული დამოუკიდებელი ექსპერტები. გამოყენებული იქნება „ოთხი თვალი“-ს წესი: თითოეული განაცხადი მინიმუმ ორი შემფასებლის მიერ უნდა შეფასდეს. შემფასებლების მიერ მინიჭებულ ქულებს შორის საგრძნობი განსხვავების შემთხვევაში საჭირო იქნება მესამე შემფასებლის აზრის გაგება. შემფასებელთა რეკომენდაციების მიხედვით მო-ს მიერ შემუშავებული შეფასების ანგარიში დასამტკიცებლად წარედგინება JDMC -ს, საბოლოო გადაწყვეტილებას კი ევროკომისია მიიღებს.

JDMC გადახედავს შემფასებელთა დასკვნებს, რის შემდეგაც შესაძლოა დამატებითი ახსნა განმარტება მოითხოვოს. თუ JDMC -ის მიერ შემფასებელთა რჩევების მთლიანად, ან ნაწილობრივად არგაზიარების შემთხვევაში ის ვალდებულია დაასახელოს მკაფიო მიზეზები თავის პოზიციის ასახსნენლად, რომლებიც საბოლოო შეფასების ანგარიშში ჩაიწერება.

საბოლოო შეფასების ანგარიში PRAG-ის სტანდარტულ დოკუმენტებზე დაყრდნობით უნდა შედგებოდეს ყოველ შესაფერის განაცხადზე მოკლე შეფასების ანგარიშით, რომელშიც შევა შემფასებელთა და JDMC-ის წევრების შეფასების ცხრილები, მინიჭებული ქულები და კომენტარები. ამას თან უნდა დაერთოს შეუსაბამო განაცხადებისა და მათი არმიღების მიზეზთა სიაც.

JDMC-ის მიერ დამტკიცებული პროექტის სელექციის შედეგები მხოლოდ მათზე ევროკომისიის მხრიდან თანხმობის შემდეგ შევა ძალაში.

კონტრაქტირებამდე მო-ს პროექტში შესწორებების შეტანის მოთხოვნა შეუძლია, მაგრამ შესწორებები შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელო ტექნიკურ ასპექტებს ეხებოდეს, და არავითარ შემთხვევაში არ ცვლიდეს შიგთავსს, მიზნებს, ძირითად სიმძლავრეებსა და საქმიანობებს ან პროექტის რომელიმე სხვა მახასიათებლებსა და პირობებს რომლებმაც გრანტის მიღება განაპირობეს.

მო მოამზადებს და ხელს მოაწერს საგრანტო კონტრაქტებს პროექტის წამყვან, დასაფინანსებლად ამორჩეულ პარტნიორებთან მას შემდეგ რაც ევროკომისია დაამტკიცებს JDMC-ს გადაწყვეტილებას. საგრანტო კონტრაქტის ხელისმოწერამდე ყველა პროექტის პარტნიორმა უნდა დადოს შეთანხმებები პარტნიორობის მოდელის შესახებ და პროექტის მენეჯმენტთან და განხორციელებასთან დაკავშირებით რომელიც დამტკიცდება მო-ს და JDMC-ს მიერ.

მო და EaPTC-ის მხარდამჭერი პროგრამა გრანტის ბენეფიციარებს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის ინფორმაციითა და მხარდაჭერით უზრუნველყოფენ. პროექტის ყველა ანგარიში (შუალედური და საბოლოო ტექნიკური აღწერა, ფინანსური ანგარიშები, საჭიროების შემთხვევაში ხარჯების დამადასტურებელი ანგარიშები) და გადახდის მოთხოვნა უნდა წარედგინოს მო-ს თბილისის ოფისს. მო დაამუშავებს ანგარიშებსა და გადახდის მოთხოვნებს, და გრანტის შესაბამის ბენეფიციარებზე გადახდებს განხორციელებს. ანგარიშებისა და გადახდების პროცედურათა დეტალები განხორციელების სახელმძღვანელოში გაიწერება, რომელსაც მო EaPTC-ის მხარდამჭერ პროგრამასთან თანამშრომლობით შეიმუშავებს.

გრანტის ბენეფიციართა ანგარიშების საფუძველზე მო პერიოდულ (6 თვიან) პროგრამის განხორციელების მიმოხილვას შეიმუშავებს. ეს მიმოხილვები JDMC-ს ინფორმირებისასთვის უნდა წარედგინოს.

მო ყველა საჭირო ნაბიჯს გადადგავს პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტების საქმიანობებში ევროკავშირის დაფინანსების თვალსაჩინოების უზრუნველსაყოფად. ჯდსმ-ის წევრები აქტიურად იქნებიან ჩართული პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელებაში, როგორც სამიზნე რეგიონში ისევე მის საზღვრებს გარეთ.

პროგრამის განსახორციელებელი ციკლის გრაფა იხილეთ დანართის სახით (დანართი 4).

## 7.4 დანახარჯების შესაბამისობა და მხარდაჭერის ხარისხი

შესაბამის დანახარჯები არის პროექტის ბენეფიციართა მიერ პროექტის განხორციელების დროს გაწეული ფაქტიური ხარჯები, გრანტის კონტრაქტში არსებული განსაზღვრების შესაბამისად. პროექტის ბენეფიციართა და მესამე პირთა მიერ შეტანილი ნებისმიერი ფინანსური წვლილი მიუღებლად ჩაითვლება და არ იქნება განხილული შესაბამის დანახარჯებად. შესაბამისი პირდაპირი და ირიბი დანახარჯები უნდა შეესაბამებოდნენ PRAG-ის სტანდარტულ დებულებებს, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც ეს აპლიკანტისთვის მითითებულ სახელმძღვანელოშია გათვალისწინებული.

შერჩეული პროექტების დასაფინანსებელი გრანტები შესაბამისი დანახარჯების მაქსიმუმ 90 პროცენტს უნდა შეადგენენ და თანადაფინანსებულნი უნდა იყვნენ სხვა - არა ევროკავშირის ბიუჯეტით. გრანტების მოცულობა მინიმუმ 20,000 და მაქსიმუმ 200,000 უნდა შეადგენდეს. გრანტები პროექტის წამყვან ბენეფიციარებს რამდენიმე ტრანშად გამოეყოფათ, სპეციალურ პირობებში განსაზღვრულ დებულებათა მიხედვით.

აპლიკანტთა სახელმძღვანელოებმა და გრანტის კონტრაქტმა შესაძლოა დამატებითი დეტალები დააზუსტოს დანახარჯების შესაბამისობასა და ფინანსურ დებულებებთან მიმართებაში.

## 8. ფინანსების განაწილება

საქართველო აზერბაიჯანს შორის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის ევროკავშირის მიერ დაფინანსება „ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი“-ს 2013 საბიუჯეტო წლის რეგიონალური განაწილებიდან მოდის.

ევროკავშირის პროგრამისათვის გამოყოფილი თანხები აღმოსავლეთ პარტიონორობის ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამის სტრატეგიით განისაზღვრა და 1.35 მილიონ ევროს შეადგენს.

აზერბაიჯან-საქართველო სასაზღვრო რეგიონების სტრატეგიული ანალიზის შედეგებსა და დასკვნებზე დაყრდნობით პროგრამის ოპერაციულ მიზნებს შორის ინდიკატური განაწილება შემდეგია:

სამოქმედო მიზანი 1 - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება	40 პროცენტი
სამოქმედო მიზანი 2 - საერთო გამოწვევებთან გამკლავება	30 პროცენტი
სამოქმედო მიზანი 3 - კულტურა, განათლება და სპორტი	30 პროცენტი

ინდიკატური ფინანსური გეგმა (ათასი ევრო)

	ევროკავშირის დაფინანსება	ეროვნული თანადაფინანსება (მონაწილე ქვეყნები)	სხვა დონორები	კერძო დაფინანსება (პროექტის პარტნიორები)	მთლიანი დაფინანსება
სამოქმედო მიზანი I	540.0	0	0	60.0	600.0
სამოქმედო მიზანი II	405.0	0	0	45.0	450.0
სამოქმედო მიზანი III	405.0	0	0	45.0	450.0
<b>სულ</b>	<b>1,350.0</b>	<b>0</b>	<b>0</b>	<b>150.0</b>	<b>1,500.0</b>

დანართი 1: შესაბამისი ტერიტორიის რუკა



დანართი 2: სტატისტიკური ინფორმაცია რაიონების მიხედვით

	აზერბაიჯანი		საქართველო	
	განჯა- ყაზახი	შეი- ზაქათალა	კახეთი	ქვემო ქართლი
მოსახლეობა (ათასი)	1,205.2	581.7	407.1	511.3
მოსახლეობა (მთლიანად ქვეყნის%)	12.8	6.2	9.0	11.3
სოფლის მოსახლეობა (მთლიანი რაიონის%)	...	...	...	61.0
წვლილი ეროვნულ მშპ-ში (%)	3.8	1.8	5.5	9.4
სოფლის მეურნეობა რეგიონულ მშპ-ში (%)	36.0	39.0	23.9	18.9
ინდუსტრია რეგიონულ მშპ-ში (%)	11.8	7.0	9.2	41.4
სასტუმრო ადგილების რაოდენობა	1,172	913	...	410
ტურისტების რაოდენობა	...	...	...	...
ოფიციალური უმუშევრობა (%)	2.0	2.0	8.9	9.4
საშუალო თვიური ხელფასი ეროვნულ საშუალო მაჩვენებელთან შედარებით (%)	64	58	...	...
მთლიანი მიგრაცია შიდა/გარე				
დაცული ტერიტორიების რაოდენობა	...	...	17	2
გამონაბოლქვი სტაციონარული წყაროებიდან (ტონა)	2,700	600	2	345

წყარო: აზერბაიჯანის რესპუბლიკისა და საქართველოს სტატისტიკური სამსახურები; ექსპერტთა გამოთვლები

დანართი 3: პროგრამის მონიტორინგის ინდიკატორები


სამოქმედო მიზანი	პრიორიტეტი	სიმძლავრის ინდიკატორები	შედეგთა ინდიკატორები
<b>I. ეკონომიკური და სოციალური განვითარების მხარდამჭერი ერთობლივი პროექტების მეშვეობით სამიზნე სასაზღვრო რაიონებში ადგილობრივი თემების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება</b>	<p>სამიზნე ტერიტორიაზე რაიონებს შორის სოფლის მეურნეობისა და მომიჯნავე ეკონომიკურ სექტორებში კონკურენციის გაზრდა</p>	<p>საწარმოთა მხარდამჭერის აღმომჩენი პროექტების რაოდენობა რაიონში/საწარმოო პირობების გაუმჯობესებაზე გამიზნული/ტრანს სასაზღვრო ბიზნეს ქსელების ჩამოყალიბება</p> <p>სოფლის მეურნეობის სექტორის დამხმარე ტრანს სასაზღვრო კვლევითი ქსელების ჩამოყალიბებაზე გამიზნული პროექტების რაოდენობა</p>	<p>პროექტების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილე მეწარმეების რაოდენობა</p> <p>არსებული საზღვართშორისი ამხანაგობების/ინიციატივების/ბიზნეს ქსელების</p> <p>ადგილობრივ და რეგიონალურ აკადემიურ ინსტიტუციებს, კვლევით დაწესებულებებსა და სააზროვნო ცენტრებს შორის ახლად შექმნილი საზღვართშორისი ამხანაგობების რაოდენობა</p> <p>ადგილობრივი განვითარების საკითხებზე გამოცემული ერთობლივი კვლევების, შრომებისა და სტრატეგიების რაოდენობა</p> <p>პროექტებით ორგანიზებული სოფლის მეურნეობის სექტორის პრობლემების გადასაჭრელი ერთობლივი საზღვართშორისი ღონისძიებების/კონფერენციების/სემინარების რაოდენობა</p>
	<p>სამიზნე რაიონებში ტურიზმის პოტენციალის სრულად გამოყენება</p>	<p>ტურიზმის სფეროში არსებული პროექტების რაოდენობა</p>	<p>ახლად შემუშავებული და განვითარებული ერთობლივი ტურისტული მარშრუტების რაოდენობა</p> <p>ტურისტების რაოდენობა, რომლებიც პროექტების სიმძლავრეს იყენებენ</p> <p>დაინტერესებული მხარეების რაოდენობა რომლებიც საზღვართშორისო განათლების პროექტის ფარგლებში მოხვდნენ</p> <p>მომსახურების სფეროში ახალგაზრდებისათვის შექმნილი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა</p> <p>საზღვართშორისი ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების პროექტებით ორგანიზებული ღონისძიებების/კონფერენციების/სემინარების</p>

სამოქმედო მიზანი	პრიორიტეტი	სიმძლავრის ინდიკატორები	შედეგთა ინდიკატორები
<b>II. საერთო ეკოლოგიურ, დასაქმების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის და საერთო ინტერესის ნებისმიერ სხვა გამოწვევებთან გამკლავება</b>	<p>საზღვრისპირა ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრა და საგანგებო სიტუაციებისადმი მზაობის გაუმჯობესება</p>	<p>დაცული ტერიტორიებისა და/ან ბუნებრივი რესურსების ერთობლივი მართვისათვის შექმნილი პროექტების რაოდენობა</p> <p>საზღვართშორისი საგანგებო სიტუაციების საკითხებზე ფოკუსირებული პროექტების რაოდენობა</p> <p>გარემოს დაცვის კუთხით საზღვართშორისი თანამშრომლობის დამყარებისათვის არსებული პროექტების რაოდენობა</p>	<p>რაოდენობა</p> <p>ბუნებრივი რესურსებისა და დაცული ტერიტორიების ეფექტურად მართვისათვის ახლად შექმნილი საზღვართშორისი სტრუქტურებისა და მექანიზმების რაოდენობა</p> <p>ინფორმაციის გაცვლისა და თავდაცვითი ზომების კოორდინაციისათვის ჩამოყალიბებული ქსელების რაოდენობა</p> <p>განვითარებული და/ან განხორციელებული ერთობლივი მართვის გეგმების/სტრატეგიების რაოდენობა</p> <p>ბუნებრივი რესურსების ზომიერი ხარჯვაზე გასათვინიებლად ჩატარებული ღონისძიებების სამიზნე აუდიტორიის რაოდენობა</p> <p>სასაზღვრო ზოლის გასწვრივ არსებულ გადაუდებელი დახმარების სამსახურებს შორის ჩამოყალიბებული ამხანაგობების რაოდენობა</p> <p>მყარი, ინსტიტუციონალიზებული საზღვართშორისი ამხანაგობების, ქსელების, ასოციაციებისა და სხვა სტრუქტურების რაოდენობა</p> <p>გარემოსთან დაკავშირებული პრობლემების პროექტებით ორგანიზებული საზღვართშორისი ღონისძიებების/კონფერენციების/სემინარების რაოდენობა</p>
<b>III. კულტურა, განათლება და სპორტი</b>	<p>სოციალური ჩართულობის გაუმჯობესება</p>	<p>პროექტების რაოდენობა, რომლებიც სასაზღვრო რეგიონების სოციალურ გამოწვევებს პასუხობენ</p>	<p>სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, შეჯიბრებებში, ფესტივალებსა და კონფერენციებში მონაწილე ხალხის რაოდენობა</p> <p>მეზობელი მოსაზღვრე რაიონის ტრადიციებში, მდგომარეობასა და პრობლემებში გათვითცნობიერებული</p>



სამოქმედო მიზანი	პრიორიტეტი	სიმბლავრის ინდიკატორები	შედეგთა ინდიკატორები
			<p>ადამიანების რაოდენობა</p> <p>ორგანიზებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა</p> <p>კულტურულ ღონისძიებებში ჩართული ადამიანების რაოდენობა</p> <p>კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზებისათვის შექმნილი საინფორმაციო მასალების რაოდენობა</p>
<p>მოსაზღვრე რეგიონთა ახალგაზრდობას შორის კავშირის ხელშეწყობა</p>		<p>საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის ახალგაზრდულ ორგანიზაციებს/კულტურულ საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებებს შრის თანამშრომლობასა და კომუნიკაციაზე ორიენტირებული განხორციელებული პროექტების რაოდენობა</p> <p>პროექტების რაოდენობა რომლებიც კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს მოიცავენ სასაზღვრო რეგიონების ორივე მხრის წარმომადგენელთა მონაწილეობით</p>	<p>საზღვართშორის საქმიანობაში ჩართული ორგანიზაციებისა და ინდივიდების რაოდენობა</p> <p>დაწყებული და განხორციელებული ინიციატივების რაოდენობა</p> <p>პროექტების ორგანიზებული ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარებული ერთობლივი საზღვართშორისი ღონისძიებების/კონფერენციების/სემინარების რაოდენობა</p>

დანართი 4: პროგრამის მენეჯმენტი



## დანართი 5: დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგები

ბაქოში, აზერბაიჯანში 2014 წლის 12 სექტემბერს, საქართველო-აზერბაიჯანის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის მიერ საერთო სამოქმედო პროგრამის წინასწარი მიღების შემდეგ, დოკუმენტი განმოქვეყნდა EaPTC-ის მხარდამჭერი პროგრამის ვებ-პორტალზე, მისი გასაჯაროების და კომეტარებისთვის. სექტემბრის ბოლოსათვის EaPTC-ის მხარდამჭერმა პროგრამამ გააიოლა კონსულტაციების პროცესი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით- მთელი რიგი შეხვედრები იყო ორგანიზებული რეგიონალურ სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტებთან შესაბამის რეგიონებში.

ქვემოთ მოყვანილია ღონისძიებების შედეგები:

ქვეყანა	ქალაქი	რიცხვი	მონაწილეთ მთლიანი რაოდენობა	წარმომადგენლები		სქესის მიხედვით	
				სახელმწიფო ინსტიტუტები	არა- სახელმწიფო სექტორი	ქალი	კაცი
აზერბაიჯანი	განჯა	სექტემბერი 24, 2014	9	2	7	1	8
	შეკი	სექტემბერი 25, 2014	19	7	12	4	15
საქართველო	თელავი	სექტემბერი 26, 2014	15	8	7	13	2
	ყვარელი	სექტემბერი 26, 2014	21	21	0	16	5
	რუსთავი	სექტემბერი 29, 2014	16	1	15	12	4
ჯამი		<b>5 შეხვედრა</b>	<b>80</b>	<b>39</b>	<b>41</b>	<b>46</b>	<b>34</b>

საკონსულტაციო შეხვედრების მსვლელობისას დაინტერესებული მხარეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოეთქვათ აზრი საერთო სამოქმედო პროგრამასთან დაკავშირებით, წარმოედგინათ რეკომენდაციები და სხვა პასუხები. მონაწილე მხარეებმა გამოიყენეს ფორუმები, რათა მიეღოთ უფრო დეტალური ინფორმაცია პროგრამის შესახებ: როგორც მოსალოდნელი იყო, პროექტის გამხორციელების ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ტექნიკური კითხვები სჭარბობდა შეთავაზებული პროგრამის პრიორიტეტების დებატებს. მთავარი შეკითხვა, რომელიც ყველაზე საინტერესო სფეროს შეეხებოდა, იყო თანადაფინანსების საკითხი; თანადაფინანსების შესაძლო წყაროები, თანადაფინანსების ლეგალური ფორმები და პროექტის პარტნიორების შორის შესატანის თანაფარდობა.

ყველა ღონისძიებაზე მონაწილეების მიერ იყო შეთავაზებული განმცხადებლების სახელმძღვანელოს და განაცხადის ფორმების თარგმანი მათ მშობლიურ ენებზე, რაც ძალიან ძალიან სასარგებლო იქნება პოტენციური განმცხადებლებისათვის, თუმცა დოკუმენტები იქნებოდა არაოფიციალური. EaPTC-ის

მხარდაჭერმა პროგრამამ და მმართველომა ორგანომ ეს შეთავაზება მხედველობაში მიიღეს და შეეცდებიან ადგილობრივ ენებზე გააიოლონ კომუნიკაცია პროგრამის მოთხოვნებზე.

გარდა ამისა თელავსა და რუსთავში ღონისძიებების მონაწილეებმა წამოწიეს სოციალური საკითხი, რომელიც ეხება უფროს მოსახლეობას, და შესთავაზეს ხაზი გაესვათ ამისთვის პროგრამის პრიორიტეტებში. თუმცა პროგრამის პრიორიტეტში „სოციალური ინტეგრაციის ზომების გამყარება“ ეს მიზნობრივი ჯგუფი უკვე განხილულია. (...) მოსახლეობის სოციალური ღირებულებები არსებულ რეგიონებში საერთო ტრადიციებიდან გამომდინარეობს. ასე, ისინი ახდენენ, უფროს მოსახლეობასთან ურთიერთობის ფორმირებას. სხვა მარგინალური გჯუფები ( მაგ: შეზღუდული შესაძლებლობის პირები), ეტნიკური უმცირესობა (მაგ: ბოშები), და გენდერული საკითხები (...) შეტანილ იქნა დოკუმენტში დამატებითი შესწორებების გარეშე.